წელიწადი I-ლი

# ბათომის მუშაკი

კვირა 28 ნოემბერი ფასი 15 მან.

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.

4 „ „ „ . . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზედ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 10 საათ. სად. 3ს.

№ 67 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 67

ეროვნული ბიბლიოთეკა

შმაევსკის თეატრში,
კვირას, 28 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია
სამოქალაქო პანაშვიდი
ქართული თეატრის დამსახურებული მსახიობის
ვლ. სარდ. ალექსი-მესხიშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად.
სახ. წარმ. მმართ. წრე

საკომისიო მაღაზია
„ამხ. სოიუზი“
(მიხაილოვის 7 № 15 ლორის.-მელიქ. ქ. კუთხ.)
ყიდულობს და იღებს საკომისიოდ
ძვირფას ნივთებს, ბრილიანტებს და სხვა.

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროვალ-სხირტლაძის
ოთხშაბათიდან 24 ნოემბრიდან დაიწყება
კინო-რომანის ჩვენება
ნილაზი თეთრი კბილებით
16 ეპიზოდი—32 ნაწ.
მთავარ როლსასრულებს
ცნობილი პერლ-უაიტი
4 სერია. 7-თე ეპიზოდი—იაპონიის შეიარაღებულობა. 8 სიყვარული..
ნადირობა სამხრეთელ მჭეცზე ძლიერ სასაცილო.
ანონსი: სამშაბათს, 30 ნოემბერი—5 სერია ნილაზი თეთრი კბილებით.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“
თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროდ და თბილათ.
კვირიდან, 1920 წ. 28 ნოებრიდან
პირველათ ბათომში. იჩქარეთ ნახოთ!
გატაცება სათუთ სიყვარულით
საუკეთესო იტალიის არტისტების მიერ ნათამაშები.
ნუ ეარშიყები სხვის ცოლებს. ძლიერ კომიკური.
მერკურსია კალიფორნიაში. სანახავი.
ანონსი: ხუთშაბათიდან 2 დეკემბრიდან სურათების ახალი გამოცვლა.

გემი „პალაცკი“
მოვა 27 ნოემბერს და გავა (თუ არ დაიგვიანა) სამშაბათს 30 ნოემბრის
დღის 4 საათზე გავა ვენეციაში და გაივლის ნავთსადგურებს ანატოლიისას, ბრინდიზისას და ტრიესტისას.
მიიღებს მგზავრებს 1, 2, 3 კლას. და ბარგს
ცნობების მიღება შეიძლება ტრიესტინოს საზოგად. სომხ. შესახვ. № 4.

## განსაკუთრებულ მმართველობაში.

— განსაკუთრებულმა რწმუნებულმა. საოლქო სათათბირო საბჭოში შაბათის სხდომაზე მოიწვია ოლქის ინჟინერი ბ-ნი ა. გიორგობიანი და გზა ტკეცილების ისტანციის უფროსი.

— გუშინ განსათკურ ბულ რწმუნებულთან იყვენ ჯარის კაცთა დამხმარე კომიტეტის წევრები ბ-ნ ონიფანტე რამიშვილი, აშოტ მანდოიანი და ბ-ნი ვოლფვეზონი.

— გუშინ ოლქში უნდა გამგზავრებულიყვენ ბ-ნი ისიდორე რამიშვილი ქალაქის მოურავი გიზო ანჯაფარიძე და სხვანი.

## ბათომი, 28 ნოემბერი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეების ყოფა აუტანელი ხდება.

სიძვირე წარმატებითი პროგრესიით ვარჯიშობს, რა ჰქნას მოხელემ ათიათას მანეთი ჯამაგირის ამარა.

მუშა მოსამსახურენი და მოხელენი შეგნებულად იცავენ მთავრობის პოლიტიკას, ისინი პრინციპიულად წინაღმდეგი არიან მომატებისა მაგრამ, რა ჰქნან როცა მეტი ღონე აღარ რჩება გასაქანი. ჩვენ ყოველ დღე ვნატრობთ. რომ რესპუბლიკას ყავდეს კარგი მოხელეები პატიოსანი მოხელეები და ამ მოხელეებს კი ხეირიანი მოვლა პირდებით, უზრუნველ ყოფა უნდათ. მშიერ მოხელეს ვერ დავავალებთ ჩვენ იდეალური კაცი იყავითქო მოხელეები უმთავრესი ფაქტორნი არიან სახელმწიფოს სიმტკიცისა. ავზნის მოხელეები ნიადაგს აცლიან სახელმწიფოს, მთავრობამ ყოველივე ეს გაითვალისწინა თავის დროზე და შემოიღო საყოველთაო დახმარება მუშა მოსამსახურეთადმი, მუშათა მაგიდის სახით. დღემდის ისევ ამ მაგიდით უდგიათ ქალაქებში სული მუშამოსამსახურებს.

ცნობილია, რომ მუშათა მაგიდას არ შეუძლია ყოველ გვარი კმაყოფილება მისცეს მუშა მოსამსახურეს, ამის გამო აუცილებელია გაფართოვდეს დამხმარე საზოგადოებანი და იგი დაიყოს სხვა და სხვა დარგებათ მაგალითად, სათპობის მიმწოდებელი, სამანუფაქტურო, საბიბლიოთეკო და სესხის მიმცემი,

დემოკრატიულ საქართველოს არ შეუძლია ცუდი, მოხელეები იყოლიოს. ჩვენში მართვა გამგეობის აპარატი ვერ იქნება ლოთების, მეკარტეების და მექრთამეების ხელში.

ამავე დროს როგორც ვთქვით ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ ჩვენ მოხელეზე. და ეს შესაძლებელია თუ ყველა მაღალ პასუხის მგებელ მოხელეში გამომჟღავნდება სიყვარული ქვეყნისა, სიგულწრფელე და ინიციატივის უნარი ყოველმა უწყებამ თვითონ უნდა. იზრუნოს თავის მოხელეს საშველად. ცენტრის ხელთ შემყურეობა ძველი ბიუროკრატიზმია, ცენტრმა შეიძლება ყოველთვის ყველაფერზე ვერ მოიცალოს, ამიტომ განაპირა კუთხეებში ადგილობრივად უნდა მოხდეს მოხელის მდგომარეობის გამორკვევა და შესაფერი დახმარება. როცა მოხელეს ჩვენ დავინახავთ მაძღარს, გამთბარს და დაბინავებულს, მაშინ მას სასტიკად მოვთხოვთ მოვალეობის წმინდათ შესრულებას.

კარგი მოხელეები, კეთილ სინდისიერი მოხელეები, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება საკმაო მოვლა და პატრონობა მათი.

ვიზრუნოთ მოხელეებზე და მუშა მოსამსახურეებზე.

## პროვინციის ხმა.

საქართველო გაოფიციალდა სამინისტროები და საერთოდ დეპარტამენტები სწურავენ ახლა ქართლის ყოფის შინაარსს.

მწერლობა, თეატრი, პრესა იმ პატივს ჰკარგავს რომელიც მან ჰქონდა საქართველოს მონობის ჟამს. შინაური მკვლევარი შეამჩნევს იმ გულსაკლავ მოვლენას, რომ ქართველი ხალხის თვალსაჩინო ნაწილი სპეკულიაციამ ფულის შოვნამ გადიტანა მეორე ნაწილი მოხელეთ ან დეპარტამენტების კარებში ატუზული ეძებს მოხელეობას. მთელი საქართველო ბაგაჟათ ტიფლისში ჩავიდა. დაბა სოფლები, რომ არ ვიტიროთ ისეთი დიდი (ჩვენთვის) ქალაქებიც კი როგორიც არის ქუთაისი, ფოთი, სოხუმი და ბათომი ყველამ მიატოვა. რაც შეეხება სოფელს ის ინტელიგენტმა საქართველომ გულიდან მოიგლიჯა, სოფლის საკითხი გუშინ რომ გვაღელვებდა დღეს გაჰქრა აღარ არსებობს. ყველა ოცნებობს ანბანის მცოდნე კომისრად მილიციელად ან საბაჟოს მოხელეთ გარბის.

შემოგვიტევენ და გვეტყვიან, რომ მეტად ზერელეთ მსჯელობთ, როცა გვკიცხავთ ქართველების მოხელეობათ

მოითხოვეთ ყველა მაღაზიებში, კიოსკებში რესტორანებში, კაფე შანტანებში და დამტარებ
პაპიროსები „გლორია“
ბინიატ-ოღლის ქარხნის ფირმის პატრონისა.

ახლად გამოშვებული საუცხოვო გემოვნებაა ... და არომატის.
ფრანგული საქციონერო საზოგადოების
„ხმელთა შუა კომერციული ბანკი.“

ეროვნული

გაზ. „ბათომის ფურცლისა“ სარედაქციო კოლეგია დასტამბის მუშები ამით აცხადებენ, რომ დღეს შმაევსკის თეატრში შუადღის 12 საათიდან დანიშნულია დიდი მსახიობის

## ლადო მესხიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი.

წასვლა აბა, როგორ უნდა ყოფილიყო, ქართული სახელმწიფოა და მოხელეებიც ჰყავს თავისი ხალხიდგანო. ეს მართალიც იქნება და არც იქნება მართალი.

მოხელეების მიცემა აუცილებელია, მაგრამ, სრული გაოფიციალება საქართველოსი მთელი ერის მაჯის ცემის ერთ ქალაქში გადატანა, ყველა საზოგადო მოღვაწეთა თბილისში შეგუბება და რესპუბლიკის დანარჩენ ადგილების მხოლოდ [illegible] მოხელეების ხელში მიგდება უდიდესი უბედურებაა ხიფათის მომასწავებელი [illegible] იწყება და თავდ[illegible] მხოლოდ მო[illegible]ელია.

ქართველ ხ[illegible] ის მუ[illegible]კი რომელიც გუშინ საბრძოლოდ ცხადა მას ინტელიგენცია მაინც მოსვენებას მისცემია თბილისში. საზოგადო მოღვაწეთ თბილისში მიუჯაჭვავთ თავის თავი ჩვენს პროვინციებს, ჩვენს სოფლებს ხანდისხან მინისტრები ესტუმრებიან, ეს სახელმწიფოს უმაღლესი მოხელენი და სხვა არავინ.

ამას ვერ მოითმენს ქართველი დემოკრატია მისი მრწამსი იყო განთავისუფლებული მშრომელი საქართველო მუდმივ შემოქმედების და აღორძინების პროცესში ყოფილიყო.

საქართველოს ხალხს სულიერი საზრდო შეაკლდა, ყველაფერს თბილისი ნთქავს!..

ჩვენ უკიდურეს კულტურულ დეცენტრალიზმის მომხრე ვართ.

ამ მოსაზრებით მიზან შეწონილი იქნებოდა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის განყოფილება ქ. ქუთაისში გახსნილიყო, ამით ეს ქალაქი კულტურულ სიცოცხლეს არ დაჰკარგავდა.

საერთოდ დღეს ისეთი სიმარცხვილო ყოფაა, რომ მოვაგონდებათ მოჯადოებული წრე, სადაც თქვენ ხართ გაქვავებული და ყოველდღიური ამბებში სრულიად იყლაპებით. ეს მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია პროვინცია ცენტრს არ აპატიებს ასეთ საქციელს.

ამ ყოფას საქართველოს გამოფიტვა დაღუპვა შეუძლია. ისმინეთ ეს, ნუ დაივიწყებთ სოფლურ საქართველოს, გახსოვდეთ პროვინცია!

ნუ გაოფიციალდებით ყველა, სახელმწიფოს სიმაგრისთვის აუცილებელია ძლიერი იყოს არა ოფიციალი-საქართველო.

ი. დიდიძე.

## სადღეისო შენიშვნები.

### მუშათა მდგომარეობა.

ზამთარი მთებიდან უკვე ბარში დაეშვა და სახლებში შეიჭრა. აბა რა უჭირთ მათ, ვინც დღე ლამეს სპეკულიანტობაში ატარებს, თბილი საქმე ან ადგილი უშოვია და ზამთრის სუსხ-სიცივეს თბილ პალტოკალოში, თბილი ბინით მომარაგებული შეშით ხვდება; ან კიდევ „ხელის ჰუჭყი“ ქაღალდის ფული საკმაოთ მოეპოება, რომ ზამთრის ყინვა-ქარმა არ შეაშინოს.

მხოლოდ მუშა-მოსამსახურე შეყურებს შიშით და მწუხარებით ნისლით მოცულ მთებს და შავი ღრუბლებით მოსუდრულ ზეცას, მას არც ტანთ აცვია, არც ფეხზე, სახლში სიცივე და სიმშილი მეფობს. ათავებს შრომას და სახლში წასვლა შეზარებია, რადგან იქ დაწესებულებაში შედარებით თბილა და ხელმოკლეობით გამწარებული ოჯახის წუწუნ-კვნესა არ ესმის.

მას არც ჯამაგირი აქვს საკმაო, რომ რამე შეიძინოს და არც ისეთი ორგანოებია შექმნილი, რომელიც მას საკმაო დახმარებას გაუწევს. მისი ჯამაგირი მუშათა მაგიდიდან მიღებული პურში მიდის და მორჩენილი ორიოდე გროშით აბა სხვა რა იყიდოს!

ავილოთ ციფრები, თუ რა უნდა დაეხარჯოს მუშას, რომ აუცილებელი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს (მხედველობაში მაქვს ოთხი სულიდან შემდგარი ოჯახი).

| | დღეში | თვეში |
|---|---|---|
| სადილი (იაფ. ფას. სასადილოდან) | 120 მან. | 3600. მ. |
| პური (მუშათა მაგ.) | —20,, | 600. მ. |
| პური დამატებით 2. გირ. | 200 ,, | —6000 მ. |
| შაქარი 6 გირ. | | —2700 მ. |
| ჩაი | | — 300 მ. |
| ბინის ქირა | | —2000 მ. |
| ელექტრონის ფასი (ქალ. თვიით) | | —800 მ. |
| ნავთი ($1\frac{1}{2}$ ფ. კერძოთ 2500 მ. ქალ. თვით. 250) | | —2750 მ. |
| შეშა სარეცხისათვის 3 ფ. | | —1200 მ. |
| საპონი 2 გირ. | | 700 მ. |
| აბანო (თვეში ორჯერ) | | 800 მ. |
| წვერის და თმის გაკეთება | | — 300 მ. |
| ფეხსაცმელების გაკეთება | | — 800 მ. |
| სხვა და სხვა წვრიმალი ხარჯები | | —2000 მ. |
| კავშირის სასარგებლოთ | | —250 მ. |
| გაზეთი თფილისის და ადგილობრ. | | — 750 მ. |
| სულ | | — 25550. |

მუშათა მაგიდის დახმარება რომ არ იყოს, ხარჯები ფაქტიურად იქნებოდა—25.550. 17.400 მ.—42,950 მ. (მუშათა მაგიდის დახმარება შემდეგ ეკონომიას იძლევა: 4 სულზე, 95 მ. გირვანქა პურიდან, 380 მ.,—თვეში 11,400 მ., სადილი—6000 მ. თვეში, სულ—17.400)

ამ ხარჯებში არ შედის თეატრში და სხვა გასართოთებში წასვლა, ტანისამოსის ყიდვა შეკერვა, ბავშვების აღზრდა, წიგნების ყიდვა და სხვა ასეთები,

რასაკვირველია ამდენს მუშა არ ხარჯავს ფაქტიურად, რადგან სახელმწიფო მოსამსახურე, რომლის ჯამაგირი 7.000 არ აღემატება, საიდან დახარჯავს ამდენს მაშასადამე მან უნდა მოიკლოს, „ეკონომია“ უნდა დაიჭიროს და კიდევ იკლებს—სმა-ჭამას, ჩაცმა-დახურვას, სითბო სინათლეს და სხვა. ვინც მექთამეობა - კომბინატორობას და მახინაციებს არა აკეთებს ლანდივით დაიარებიან, ნახევრათ სიმშილობით არაქათი გამოლევიან. იაფფასიან სასადილოებში ზოგიერთი გაჭირვებული ნამცეცებს კრებს, რომ საღამოსთვის ქონდეს საჭმელი. ასეთ აუტანელ მდგომარეობაში არიან დღეს განსაკუთრებით სახელმწიფო მოსამსახურენი. ძველათ ჯამაგირით ორ ფეხსაცმელს მაინც იყიდდენ, ახლა ფეხსაცმელს ორი თვის ჯამაგირით ვერ იყიდი. ბევრს ვლაპარაკობთ შრომის ნაყოფიერების გაძლიერებაზე და სხვა, მაგრამ ამა მშიერ-მწყურვალთ, შიშველ-ტიტველთ რა მოვთხოვოთ.

ბრალს ვერავის ვერ დავდებთ, დღევანდელ ხანაში ყველა მშრომელი გაჭირვებულია, მაგრა ის დახმარება, რომელსაც მთავრობა აწვდის მუშა-მოსამსახურეთ დროზე უნდა ხდებოდეს. ზამთარი უკვე დადგა, სადაც არის ქალაქის ქუჩებს თეთრი სუდარა გადაეკვრება და მოსამსახურეთათვის შეშაც ვერ მიგვიცია.

სიცივე, სიმშილი, გაჭირვება ფიზიკურად და სულიერად სტეხს ადამიანს, კლავს მასში შრომის ხალისს.

ჩვენს ქვეყანას კიდევ უდიდესი ენერგიის მოკრება სჭირდება როგორც შიგნით ისე გარეთ. და ასეთ დროს მუშა-მოსამსახურეთ უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ბოლოს და ბოლოს საქართველოს დემოკრატიის მაღალ იდეალებისა და სახელმწიფოებრივობის განმტკიცება მისი ხელებით, მისი შრომით ხდება და არ უნდა შეაქრეს ჩვენი სახელმწიფოებრივობის მაცოცხლებელ ძარღვში ენერგია და ბრძოლის ცეცხლი.

ზამთარი უკვე დადგა.

მუშა-მოსამსახურეთ მუშა და ნავთი სჭირიათ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომარაგების და შრომის სამინისტრო ამაზე ზრუნავენ, მაგრამ ყველა ამის მიცემა დღეს არის საჭირო განსაკუთრებით უკიდურეს მდგომარეობაში სახელმწიფო მოსამსახურეებია, მათი მდგომარეობის შემსუბუქება შეეძლო მათვე კოოპერატივს მაგრამ კოოპერატივს საოპერაციო თანხა არა აქვს და დღიურ ნავაჭრით უხდება ბაზარზე საქონლის შეძენა, პატარა პარტიობით, დღეს თუ ათას მანეთს იხდის საქონელში, ხვალ ორი უნდა მისცეს, ოლქის უმაღლესი მთავრობა უნდა დაეხმაროს კოოპერატივს საჭირო სესხის მიცემით, რაც საშუალებას მისცემს კოოპერატივს ერთად შეიძინოს საკმაო რაოდენობა საქონლის, ეს ერთგვარათ შეამსუბუქებს გაჭირვებას მოსამსახურეებს, სულს მოათქმევინებს,

შეშა, ნავთი და ფეხსაცმელი, აი რა სჭირია დღეს მოსამსახურეს, სხვას კიდევ მოითმენს, როგორც დღემდი ითმენდა.

ა. წ—ძე.

## ქრონიკა.

სამოქალაქო პანაშვიდი. დღეს 28 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, შმაევსკის თეატრში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ქართულ თეატრის დამსახურებულ მსახიობის **ლადო მესხიშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად

პანაშვიდი. დღეს, 28 ნოემბერს, ბათომის ახალ საკრებულო ტაძარში, წირვის შემდეგ დღის 12 საათზე, ადგილობრივი კრებულის მიერ გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ დამსახურებულ მსახიობის ვლადიმერ სარდიონისძის მესხიშვილის სულის მოსახსენებლად.

ყალბი ლირებით ვაჭრობა. მოვაჭრე კალანდარაშვილისაგან უყიდია პალტო ვიღაც უცნობ და მიუცია ოცდა ხუთ ლირიანი თეთრული ფული 35000 და 15000 ხურდა გამოურთმევია. როგორც შემდეგ გამოირკვა ლირა ყალბი თვისების ყოფილა. მოვაჭრე კალანდარაშვილმა ეს გაუცხადა მეორე უბნის კომისარს. კომისარ აკობარიძის მიერ მიღებული სასწრაფო და ენერგიული ზომებით ყალბი ლირებით მოვაჭრე შეპყრობილ იქნა. ის აღმოჩნდა შუქრი მუსტაფასძე ქელერჯიძე. ოქმი შეყენებულია და დატუსაღებულთან ერთად გადაეცა სადაც ჯერ არს,

მეორე უბნის კომისარმა მიერ შეუდგინა ოქმი ნიხრის დარღვევისთვის ყასაბ არუთინიანცს.

ყუმბარების, სამხედრო იარაღების და ყალბი ლირების აღმოჩენა. მეორე უბნის კომისარ აკობრიძის მიერ მიღებულ ცნობებით გაჩხრეკილ იქნა ლაზარევის ქუჩაზე № 10 სახლი შაია მგელაძისა სადაც აღმოჩენილ იქნა. ორი ყუმბარა კაპსულებით, რამდენიმე ოცდა ხუთ ლირიანი ყალბი ფული და „სმიტ ვისონის“ რევოლვერი ვაზნებით. შეპყრობილ იქნა დაუდ და შაია მგელაძეები და შესაფერი ოქმით გადაეცა მილიციის უფროსს

25 ნოემბერს გემ „პართიანზე“ მერძენ ლტოლვილთა გადასხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყეს. ბერძენ ლტოლვილებ იადასხმა 1800 მსხვილ ფეხსაქონლებითა და ბარგებით. გადასამას დაესწრო მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის თანაშემწე პოლკოვნიკი სულაქველიძე და განსაკუთრებული რაზმის უფროსი იოსა ჯანელიძე.

✥ ბოროტ მოქმედება სამსახურის ასრულებს დროს. როდესაც სტამბოლიდან მოსული გემი „ფრანც იოსები“ ნაპირს მოადგა, მოქალაქე მოშე ენუქაშვილმა მოინდომა გემზე მისვლა მაგრამ ის არ გაუშვეს. მას ქონდა თათრული ლირები და ინგლისური გირვანქები კონვერტში ელია მოშიაშვილზე გადასაცემად, ბოლოს მან ეს გემზე მიმავალ მარდახ თავდიდიშვილს გადასცა და თხოვა ელია მოშიაშვილისათვის მიეტანა მოშიაშვილმა კი იმის მაგიერ რომ კუთვნილისამებრ მიეტანა, გადასცა ვიღაც უცნობს. მოშე ენუქაშვილმა ყოველივე ზემოხსენებული შეატყობინა განსაკუთრებული რაზმის უფროს ბ-ნ იოსებ ჯანელიძეს. ჯანელიძემ სასწრაფოდ მიიღო ენერგიული ზომები დამნაშავეს მოსაძებნათ და გამოძიების შემდეგ გამოარკვია, რომ ვიღაც უცნობი ყოფილა იგივე რაზმის უფროსი თანამშრომელი სიმონ საყვარელიძე, რომელიც რაზმის უფროსმა ჯანელიძემ გამოტეხა განაშაულში. საყვარელიძემ განაცხადა რომ ფული მისცა კონვერტით დათ მოშიაშვილს, ფულის რაოდენობას შეადგენდა 175 თათრული ქაღალდის ლირა და 65 ½ ინგლისური გირვანქა. განსაკუთრებული რაზმის უფროსის მიერ საყვარელიძე და მოშიაშვილი შეპყრობილ იქმნენ.

✥ ნოემბრის 26 შმაევსკის თეატრში საცენო მუშაკთა კავშირის მიერ გამართულ იქმნა დიდი სიმფონიური კონცერტი.

საჭიროა მიექცეს ყურადღება ვისაც ჯერ არს, რომ ასეთ სიცივეს დროს შმაევსკის თეატრი სრულებით არ სთბება, ასე რომ კაცს თეატრში ჯდომის დროს სიცივისგან აკანკალებს.

✥ შეცდომის გასწორება. №64 ქრონიკაში სწერია: განსაკუთრებულ რწმუნებულმა ბრძანება მისცა მილიციის უფროსს, რომ გემებიდან ბათუმში არ შემოუშვან არა საქართველოს ქვეშევრდომნი.

უნდა იყოს ისეთი პირები, რომელთაც არ ექნებათ სათანადო ნებართვა.

✥ შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გილფერდინგის სიტყვაში შემდეგი შეცდომები შეგვეპარა:

სწერია—გილფერდინგი იცავს იტალიის სოციალისტების ბრალდებისგან თითქოს ისინი რევოლიუციის სობოტაჟს უწევენ, უნდა იყოს—გილფერდინგი იცავს იტალიის სოციალისტებს ბრალდებისაგან თითქოს ისინი რევოლიუციას საბოტაჟს უწევენ.

შემდეგ მეოთხე გვერდზე სწერია სინოვიევი განაგრძნობს, უნდა იყოს—გილფერდინგი განაგრძობს.

# სტამბოლის ცნობები.

(საკ. კორესპ.)

— პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფო მეტად ძვირი უჯდება ევროპა, ჩრდილო ამერიკა ერთ განყოფილების შესანახად ხარჯავს ორმოცდათს მილიონ ლირას. პალესტინის პოლიციელებში ბევრია რუსეთის ნამსახურები.

— სტამბოლში ბოლო დროს პატრულები დადიან თურქ და ინგლისელ ოფიცრის თანხლებით.

— მგზავრებს ქალაქში მამავალ და გამომავალთ სინჯავენ თურქის ოფიცრები.

— ნაპირთან გემს ეგებება მატორიანი ნავი თურქულ დროშით.

— პაროხოდებით ნავთსადგურში ისმალურ დროშას კიდებენ.

— უცხოელი ბანკები არ მუშაობენ პარასკეობით.

— სტამბოლში დაიწყო ქემალის გაზეთების გავრცელება.

# შავი ქირის ლიკვიდაცია.

ოლქის მთავარმა ექიმმა ბ-ნმა გრ. ელიავამ ჩვენს თანამშრომელს აცნობა რომ ბათომში მოხდა სრული ლიკვიდაცია შავი ჭირისა.

შავი ჭირთან მებრძოლი შტატი და რაზმი უკვე განთავისუფლებულია მოვალეობის ასრულებისგან.

ამავე დროს ბ-ნი საოლქო ექიმი გადმოგვცემს, რომ მას არ აქვს ბინა საოლქო კანცელარიისთვის და რაც უფრო უმთავრესია ის თავის დროზე ვერ ჰგზავნის ოლქში ვერც წამლეულობას და ვერც საექიმო პერსონალს გადასაზიდ საშუალებათა უქონლობის გამო.

# სომხეთის შესახებ.

საბჭოთა რუსეთის პასუხის მგებელმა წარმომადგენელმა არა ოფიციალ საუბრის დროს ჩვენს თანამშრომელს განუცხადა, რომ მოლაპარაკება რომელიც ამ ჟამად სწარმოებს, სომხეთის სასარგებლოთ დამთავრდება.

# ვინ როგორ უყურებს ეხლანდელ მდგომარეობას.

საქართველოს მშრომელი ერი სრულიად არ დაცემულა რომ ვერ შესძლოს თავის დაცვა ეხლანდელ მდგომარეობაში. გაზეთი „საქართველო“ სწერს: საქართველოს მდგომარეობა მეტად სახიფათო და სერიოზულია, მობილიზაციის კარგათ ჩატარება არ ნიშნავს გამარჯვებას, თუმცა მეტად საამაყოთ არც ის ჩატარებულია, ზურგი ფრონტის გასამაგრებელ ზომებს არ ღებულობსო და სხვა ასეთებს.

ვაძლევ ჩემს თავს ნებას უპასუხო რომ ქართველ ერს კარგათ აქვს გათვალისწინებული ეხლანდელი მდგომარეობა სამშობლოისა. მთავრობის მოწოდების თანავე მთელი ერი საქართველოსა, იარაღით ხელში გაეშურა საზღვრებისაკენ სისხლით შეძენილ თავისუფლების დასაცავათ. რაც შეეხება ზურგიდან ფრონტის გამაგრებას უკვე შეუდგა ყველა ქალაქებში რესპუბლიკისა „ფრონტის დღის“ მოწყობას, რომ მათ აგრძნობინონ ფრონტზე მყოფ მამულიშვილებს, რომ ზურგში მყოფნი მზათ არიან უკანასკნელი გროშიც კი მათი საკეთილდღეოთ გადადონ. თუ იმ ვაჟბატონებს ძლიერ აწუხებს საქართველოს მდგომარეობა, თუ ცდილობენ ქართველი ერის გადარჩენაზედ დღეს აქვთ დრო რომლესაც შეუძლიან გაიჩვენონ თავიანთი მუშაობა საქმით და არა ტკბილი სიტყვებით უფრო უარეს მდგომარეობაში ვყოფილვართ და გაგვიტანია ღელო გამარჯვებისა. ეხლაც გამოვა საქართველოს მშრომელი ხალხი ამ მდგომარეობიდან გამარჯვებული. ყალბი პესიმიზმი მავნებელია.

კოპალეიშვილ..

# მთავრობაში.

ნოემბრის 18 სხდომაზე მოისმინა რა მოხსენება დამზღვევ საზოგადოებათა ყოველ გვარ საქმეები შინაგან საქმეთა სამინისტროდან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსადმი გადაცემის შესახებ, მთავრობამ დაადგინა: მიენიჭოს უფლება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს რომ მან შინაგან საქმეთა მინისტრთან წინასწარ შეთანხმების შემდეგ დაამტკიცოს წესდებანი ახლად დაარსებულ სააქციონერო საზოგადოებისა და შეცვალოს უკვე მომქმედ საზოგადოებათა წესდებანი 2) მიენდოს ფინანსთა სამინისტროს თვალყურის დევნების უფლება საქართველოსა და უცხოეთის იმ დამზღვევ საზოგადოებებზე, რომელნიც დაარსებულია სააქციონერო საფუძვლებზე. ეს საზოგადოებანი უნდა ექვემდებარებოდეს ფინანსთა მინისტრს. 3) მიენდოს ფინანსთა მინისტრს, რომ მან მოახდინოს სათანადო ცვლილებანი რესპუბლიკის დამზღვევ საზოგადოებათა უკეთ მოსაწყობად. ყველა ცვლილება, რომელიც საკანონმდებლო სანქციას მოითხოვს,—დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას უნდა წარედგინოს.

— მოისმინა რა შუამდგომლობა მომხმარებელ საზოგადოება „ძმობისა“ საზღვარ გარეთ ნიორის გატანის ნებართვის მიცემის შესახებ, დაადგინა: ნებადართოს საზოგადოებას შუამდგომლობაში აღნიშნულ ნიორის 25% გატანისა, საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს გატანაზე დაწესებული განსაზღვრული ბაჟი.

— მთავრობამ, გადასწყვიტა წონასა და ზომაზე შემოღებულ იქნას გადიდებული ნიხრი.

# თბილისი

ვალიუტა. ნოემბრის 20 მთავრობამ დაამტკიცა სავალიუტო ოპერაციის შემოღებისთვის საჭირო ინსტრუქციები. რომელიც შედგენილია 1920 წ. ოქტ. 16 განსაკუთრებულ თათბირის მიერ შემუშავებულ სავალდებულო დადგენილების მე-9 მუხლის თანახმად. ინსტრუქციის ძალით საქართველოს სახელმწიფო ბანკი იძლევა ნებართვებს შეიძინონ უცხო ვალიუტა იმ საკრედიტო დაწესებულებებში. რომელთაც უფლება აქვთ სავალიუტო ოპერაციების წარმოებისა: 1) საზღვარ გარეთ გასამგზავრებლად: შეიძლება უცხო ვალიუტა გადაეგზავნოს საზღვარ გარეთ მცხოვრებ ქართველებს და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთ ოჯახებს. 2) უცხო ვალიუტის შეძენა შეიძლება აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო მიზნებისათვისაც და სხვ. საჭირო არ არის განსაკუთრებული ნებართვა კანონით განსაზღვრულ (100 გირვანქა სტერლინგი) უცხო ვალიუტის გასატანათ. თუ ნიხრზე მეტ ვალიუტის გატანის ნებართვით არ უსარგებლებიათ იგი უკანვე უნდა იქნეს დაბრუნებული. თუ მით უსარგებლებიათ ნაწილობრივ უნდა აღინიშნოს როდის. რომელ დაწესებულებაში, რომელი და რამდენი ვალიუტა იყო შეძენილი. შინაური დაზღვევა ხდება მარტოთ მარტო ადგილობრივი ბონებით: დამზღვევ საზოგადოებებს უფლება ეძლევათ მიიღონ ჯილდოები უცხო ვალიუტით (იგი სახელმწიფო ბანკში უნდა ინახებოდეს), გადაიხადონ გემებისა და მათი მოსამსახურეებისათვის მისაცემი ფული უცხო ვალიუტით და სხვ. კერძო ბანკებმა ყოველ დღიურად უნდა წარუდგინონ სახელმწიფო ბანკს ცნობებ ვალიუტის ყიდვა გაყიდვის ანგარიშების შესახებ, მიუხედავათ იმისა მოხდა თუ არა ამა თუ იმ დღეს ოპერაციები უცხო ვალიუტით.

# პურის გარშემო.

ქალაქის ფურნის იმ მუშებმა, რომელთაც ბრალდებოდათ ცუდი პურის გამოცხობა მიმართს სეკრეტარიატს განცხადებით, რომ გაეხილათ მათი საქმე. მათ განაცხადეს, რომ იმ კომისიამ, რომელსაც დავალებული ქონდა პურის გაფუჭების გამორკვევა და რომელმაც დახურა ფურნეები, ვერ სცნო დამნაშავეთ პურის გამომცხობნი. ცნობილ იქმნა თვით ფქვილის უვარგისობა. ეხლა შრომის სამინისტრომ პურის გამოცხობის საქმე გადასცა არტელს. არტელში შედიან ისეთი მუშები რომელნიც ეარგათ ვერ იმუშავებენ ამ საქმეზე; ამიტომ მუშები მოითხოვდენ: დაინიშნოს სპეციალური კომისია, რომელიც რამდენიმე დღეს იმუშავებს პურის გამოცხობაზე, რომ მუშებს მიეცეს მაგალითი რამდენი ხნის განმავლობაში როგორ შეიძლება იმუშაონ მუშებმა. არტელი მოხსნილი იქმნას და დაბრუნდეს სამუშაოს ის რამდენიმე მუშა, რომელიც გადაყვანილ იქნენ სხვაგან.

შრომის სამინისტრო განმარტავს, რომ მუშებს დიდი მიზეზი აქვთ პურის გაფუჭების საქმეში. არტელს გადაეცა პურის გამოცხობა იმიტომ, რომ პურის ხარისხის გაფუჭებაზე ისინი პასუხის მგებელი არიან. დადგენილ ამ კითხვის გამორკვევა მიენდოს სპეციალურ კომისიას. კომისიაში შედიან: ხართიშვილი, იობაშვილი და ბაგდანოვი.

# უცხოეთი.

## რუმინია

პოლიტიკური კრიზისი.

რუმინიის ოლქებში, რომელიც მან რუსეთის და უნგრეთის ტერიტორიის ხარჯზე, დღემდე გრძელდება სამხედრო წესები. ტრანსილვანიაში, ბუკოვინაში და ბესარაბიაში ყველა კაბინეტები ბრატიანოდან აკერესკომდი მხარს უჭერდენ სამხედრო წესებს, ცენზურას და სამხედრო სასამართლოებს.

მუშათა ორგანიზაციებს სდევნიდენ, მათ მონაწილეებს ატუსაღებდენ, სოციალისტურ გაზეთებს კეტავდენ. იმ დევნას რომელსაც მიმართავს რუმინიის მთავრობა მხარეზე დამყარებულ დიქტატურის მოწინააღმდეგეთა მიმართ, არ მიმართავდენ თვით მეფის ჯალათები.

ამას წინათ სენატორმა სტეფანესკუმ, ბესარაბიაში გაგზავნილ საგამომძიებლო კომისიის წევრმა, თავის მოხსენებაში გამოამჟღავნა ოფიცრების და ჟანდარმების ბარბაროსული მოქმედება მშვიდობიან მცხოვრებთა მიმართ. შემოერთებულ ოლქებში

სამოქალაქო მმართველობა დაეკისრა სამხედრო პირებს, ყველა უთანხმოები, ყველა დანაშაული პოლიტიკური თუ სხვა სამხედრო სასამართლოებს გადაეცა,

რუმინიის მუშათა კლასმა მრავალჯერ განაცხადა თავისი პროტესტი, მაგრამ ამაოთ.

სოციალისტური პარტიის დელეგაციამ ავერესკუს მთავრობას მემორანდუმი წარუდგინა, რომელშიაც მოთხოვნ[illegible] [illegible] [illegible] ცნობა, ჯარების გაწვევა წარმოებების ყველა დარგებიდან; ადმინისტრაციისადმი მუშათა ორგანიზაციების საქმეებში ჩარევის აკრძალვა, დათხოვნილ მუშების უკან მიღება, სამხედრო წესების და ცენზურის მოხსნა, სრული ამნისტია.

ამ მოთხოვნაზე მთავრობამ საალყო წესების და ცენზურის შემოღებით უპასუხა, და დააპატიმრა სოციალისტი დეპუტატები დრაგიჩ. დატანაზი.

ამის შემდეგ რუმინიაში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა.

### გ ე რ მ ა ნ ი ა,

### რეაქციის გზადება.

„Chemnitzer Volksstimme“ აქვეყნებს შემდეგი შინაარსის წერილს:

ჩვენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხემნიცის გამგეობას დიდი ხანია გვაქვს ცნობები აჯანყების შესახებ, რომელსაც მეტად საიდუმლოთ ამზადებენ გამოჩენილი წარმომადგენლები ბურჟუაზიისა, უმაღლეს ოფიცერთა და სხვა ჯურის რეაქციონერები. თანდათანობით ჩვენ ვავსებდით ჩვენს მასალებს, სანამ ზოგიერთ პირთა საშვალებით, რომლებსაც შეთქმულების ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი პოსტები უჭირავთ, არ მივიღეთ სავსებით სარწმუნო ცნობები, რომ საქსონიაში კონტრ-რევოლუცია უკვე შეკავშირებულია და გამოსვლისათვის მზად არის.

გაზეთი შემდეგ სწერს, რომ კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაციას ფინანსიურ დახმარებას უწევს ხემნიცის ბურჟუაზია. ბურჟუაზიის ფინანსიური საბჭოს კომისია იმავ დროს გამგეობის ფინანსიურ განყოფილებას გინაგებს, გაზეთი მოუწოდებს მუშა-მოსამსახურეთ ფრთხილად იყონ.

წერილის ბოლოში ნათქვამია: მთავრობისაგან ჩვენ მოვითხოვთ ენერგიულ ზომებს. დამნაშავენი დაუყოვნებლივ უნდა იქნან დატუსაღებულნი. მცირეოდენი რყევა, დანაშაული იქნებოდა ხალხის მიმართ, ის შექმნიდა სამოქალაქო ომისათვის სასარგებლო მდგომარეობას საქმე ეხება არა წვრილმანებს, არამედ მრავალ ათას თანამემამულეთა სიცოცხლეს.

## ინგლისი და საფრანგეთი.

ლონდონის მთავრობამ აცნობა გერმანიას, რომ ინგლისი უარს აცხადებს ინგლისში მყოფ გერმანიის მოქალაქეთა კონფისკაციაზე, თუ გინდ გერმანიამ ვერსალის ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულება დაარღვიოსო.

ეს ცნობა გამოქვეყნდა ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს ოფიციალურ ორგანოში 21 ოქტომბერს, მაგრამ საფრანგეთის მთავრობას ამის შესახებ ეცნობა მხოლოდ 25 ოქტომბერს.

საფრანგეთის პრესა ამ აქტს აფასებს, როგორც ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვისკენ გადადგმულ ნაბიჯს და სასტიკად ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

„Temps“-ი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიგა საფრანგეთის მთავრობასთან წინასწარი შეუთანხმებლად.

„ინგლისის მთავრობა, ამბობს გაზეთი, საფრანგეთსა და სხვა მოკავშირეებს მომხდარი ფაქტს წინაშე აყენებს.

რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიც განმარტავს ინგლისის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. სააგენტოს განმარტებით ინგლისის მთავრობის დადგენილება ეხება მხოლოდ იმ გერმანელ მოქალაქეთ, რომლებიც შეიდენ ინგლისის ტერიტორიაზე გერმანიასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შემდეგ. გერმანელ კომერსანტებს ეშინოდათ ინგლისში თავისი კაპიტალის შეტანის და ამით დიდათ ზარალობდა ინგლისის ვაჭრობა.

საფრანგეთის პრესა-ბრალს სდებს ინგლისს იმაში, რომ მხოლოდ თავისი სავაჭრო ინტერესებით ხელმძღვანელობს მათი აზრით ინგლისის პოზიცია საშვალებას მისცემს გერმანიას გაურჩდეს და ვერსალის ხელშეკრულება არ შეასრულოს.

„Temps“-ი მიუთითებს აგრეთვე, რომ ინგლისი ქმნის თავის ვაჭრობისათვის და კომერციულ ფლოტისათვის პრივილეგიური მდგომარეობას, რადგან აძლევს გერმანელებს ისეთ გარანტიებს, რომელიც მათ სხვა ქვეყნებში არა აქვთ. მთავრობა მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოებს დაფასონ რამდენათ კანონიერია ინგლისის ასეთი საქციელი. ვერსალის ხელშეკრულების თავის სასარგებლოთ დარღვევა.

„Echo de Paris“ სწერს: დადგა სერიოზული მომენტი. დაშორება ინგლისის კომერციულსა და საფრანგეთის ნაციონალური პოლიტიკას შორის ყოველდღიურათ მწვავდება.

Homne Libre ამბობს, რომ ინგლისი წინადადებას აძლევს გერმანიას ვერსალის ხელშეკრულება ქაღალდის ნაგლეჯათ ჩათვალოს.

სხვა გაზეთების კილო არანაკლებ მკაცრია.

## მუშათა შორის.

26 ნოემბერს შრომის ბირჟაზე მოვიდა 21 კაცი ამათგან 11 ქალი. მუშა ხელის მოთხოვნილება არ ყოფილა.

შრომის ბირჟა აცხადებს, რომ საჭიროა არის შეშისმჩეხველი.

## წერილი რედ. მიმართ.

პასუხად ბ-ნ „მგზავრს“ გაზ. „ბათომის ფურცელი“ № 63 თქვენ სწერთ რომ ბათომის ვაგზლისთანა ლკთის ანაბარათ მიტოვებული სადგური სხვა არ გგონიათ სადგ. დახელოვნებული ქურდები აქ ათენ ღამებენ“ მე მწამს თქვენი აღელვება ნივთის დაკარგვის გამო, მაგრამ მაკვირვებს თქვენი თავ დავიწყება, როცა თქვენ წერთ, რომ სადგურში არც ერთი მილიციელი არ იყო იმ დროს, როცა ერთმა ნაცნობმა მილიციონერმა ბევრი ირბინა, ბევრი სძებნა ქურდი მაგრამ ვერავერს გახდა. მე მინდა გიპასუხოთ, რომ თურმე სწორეთ ის მილიციელი, რომელსაც თქვენ მოწმეთ ასხელებთ, რომელმაც ბევრი ირბინა, მაგრამ ვერაფერს გახდა, სწორეთ ის არის ჩვენი რკინის გზის მილიციელი და მორიგეც იყო. იმ დღეს გარდა ამისა სადგურში მორიგეობდენ რკინის გზის მილიციის ინსტრუქტორი, სამი მილიციელნი ერთი „პერონზე“, მეორე სამორიგეო ოთახში და მესამე შიგ დარბაზში. მილიციელს, რომელსაც თქვენ მიმართეთ დიდი ენერგია დაუხარჯავს ქურდის შესაპყრობათ, ამას თქვენც არ უარყოფთ.

პირადობის მოწმობებს სინჯავენ არა კრინის გზის მილ. ციონერები, არამედ საგანგებო რაზმის თანამშრომლები.

რაც შეეხება პირველ ბრალდებას, რომ ქურდები ათენ-აღამებენ სადგურში, ეს მტკნარი სიცრუეა, ვინაიდან ყველა მკითხველი დამეთანხმება იმაში, რომ, რაც ბათომი ოლქი საქართველომ ჩაიბარა, მას შემდეგ ჯიბგირობა-ქურდობა, სრულიად მოისპო, რაც რკინის გზის მილიციის ენერგიის და სამსახურის პირნათლად შესრულებას უნდა მიეწეროს. დღემდის შეპყრობილია და ციხეში მოთავსებული 14 ქურდ-ჯიბგირი, რამოდენიმე ათეული გადასახლებულია და ამდენივე დაჯარიმებული. 28 მილიციელი ემსახურება რკინის გზას სად. ბათომიდან-სამტრედიამდი ყველა საბარგო საწყობებს, ნავთ-სადგურებს, საბარგო და სახალხო მატარებლებს, სხვ და სხვა რკინის გზის და სამოქალაქო უწყებებს

დიდი შრომა აძევს ამ მილიციას და მე მგონია მგზავრები თუ თავის ნივთ „ნასელჩიკის“ ნაცვლად ვინმე ჯიბგირს მიაჩეჩებენ ამიტომ მილიცია არ უნდა იქნას უმართებულად გაბიაბრუებული. ბათომის სარაიონო რკინის გზის მილიციის უფროსის წაგიერ.

ვ. ზოგუა.

სარედაქციო კოლეგია

სავაჭრო სახლი
ძმ. სესიაშვილები და ამხ.
შერემეტევის ქ. № 74

კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი
ნატურალური კონიაკი
ვაჭრობა ბითუმათ, ჩოჩკებით და ბოთლობით.

ყ უ რ ძ ნ ი ს ღ ვ ი ნ ო
„რ ე კ ო რ დ ი“
საუკეთესოდ გაწმენდილი „სავალის“ აპარატებით
ყ უ რ ძ ნ ი ს ა რ ა ყ ი.
ხ ი ლ ი ს ა რ ა ყ ი („ჭ ა ჭ ა“)
ახლად დამზადებული ახალი ღვინიდან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველა მომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიელია.

განცხადება
გვაქვს პატივი ვაცნობოთ ბათომის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ
ძმ. აბულაძეებმა გავხსენით
ს ა ს ა დ ი ლ ო
ნორიაში, ასათიანის და შეპელევის მოსახვევში 19—20 სადაც მზადდება
იმერული საჭმელები.
და აგრეთვე იშოვება ღვინო და მაგარი სასმელები. ყველაფერი ხელმისაწვდენათ და ზომიერ ფასებში.
საჭმელებს ამზადებს იგივე ცნობილი მზარეული კოსტა აბულაძე.
პატივისცემით ანტონ აბულაძე,

გამყრელიძის ცირკი.

კვირა 28 ნოემბერი.
დიდი წარმოდგენ
გაგრძელება ჩემპიონატისა.
ჭიდაობს ორი წყვილი.
1. მეორეთ შეხვედრა ბრონენოსცევისა და უცნობისა.
2. გადამწყვეტი და უვადო ჭიდაობა ზაგორუიკოს გაშოწვევით.
ზაგორუიკო და კარაპუსუფი.
დღისით გაიმართება დიდი საბავშო წარმოდგენა დასაწყისი 12 საათზე.
ანონსი: ამ დღეებში წითელი ნალაბის ბენეფისი

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ბ. ვ. ძმაევის ტისა. მიხაილოვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.